

**!!** მუსიკოსებისა და არქიტექტორებისთვის,  
რომელთაც განაცხადის წარდგენა სურთ DAAD-ის სამაგისტრო სტიპენდიაზე **!!**

- onSET-ის გამოცდის თარიღი: **28 სექტემბერი**
- რეგისტრაციის ბოლო ვადა: **27 სექტემბერი, 17:00 სთ**

### რეგისტრაცია onSET ტესტზე

#### ნაბიჯი 1. რეგისტრაცია

- შებრძანდით ვებგვერდზე: [www.onset.de](http://www.onset.de)
- მონიშნეთ მარჯვენა ზედა კუთხეში „**Registration / Registrieren**“, რათა შექმნათ თქვენი გვერდი (**Account**).
- შეავსეთ თქვენი პირადი მონაცემები, მიუთითეთ „**next / weiter**“.
- შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი, მიუთითეთ „**next / weiter**“.
- მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ გადაამოწმებთ მონაცემებს, მიუთითეთ „**Send Data / Daten senden**“. თქვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე მოგივით შეტყობინება, რომ დარეგისტრირებული ბრძანდებით. აქვე მიიღებთ თქვენ მიერ რეგისტრაციისას მითითებულ მომხმარებლის სახელს და პაროლს.

#### ნაბიჯი 2. TAN-კოდის მიღება DAAD-ის თბილისის რეგიონული ოფისიდან

- პირველი ნაბიჯის გავლის შემდეგ, დაუკავშირდით DAAD-ის თბილისის რეგიონულ ოფისს ([chelidze@daad-georgia.org](mailto:chelidze@daad-georgia.org)) და მოითხოვეთ TAN-კოდი. **კოდის შექმნა უფასოა!**

#### ნაბიჯი 3. გამოცდის თარიღის და დროის შერჩევა

- TAN-კოდის მიღების შემდეგ, ისევ შებრძანდით onSET-ის თქვენსავე ექაუნთზე და მონიშნეთ „**BOOK A TEST / Prüfung buchen**“, შემდეგ კი „**next / weiter**“.
- შეავსეთ გრაფები „**Country / Land**“, „**City / Stadt**“, „**Test centre / Testzentrum**“-ის გრაფაში მიუთითეთ „**Goethe-Institut-DAAD-IC-Tbilissi**“, შემდეგ ისევ მონიშნეთ „**next / weiter**“.
- მოხვდებით რუბრიკაში **Please enter your TAN here / TAN eingeben**. შეიყვანეთ გრაფაში კოდი/ნომერი, რომელიც თქვენ DAAD-ისგან მიიღეთ.
- **Select day and time / Tag und Uhrzeit wählen** - გამოჩნდება კალენდარი. დააწკაპუნეთ კალენდრის იმ დღეზე, რომელიც თქვენთვის გამოცდის დასაწერად მისაღებია. ამის შემდეგ მონიშნეთ მისაღებია თუ არა შემოთავაზებული დრო / თუ რამდენიმე დროა შემოთავაზებული, მონიშნეთ თქვენთვის სასურველი /, მონიშნეთ „**next / weiter**“.
- დააფიქსირეთ, **ინგლისური ენის** ტესტის დაწერა გასურთ თუ **გერმანული ენის**, მონიშნეთ „**next / weiter**“.
- **Your booking / Ihre Buchung** - კიდევ ერთხელ გადახედეთ თქვენ მიერ მითითებულ ტესტის დღესა და დროს. თუ მისაღებია, მონიშნეთ „**send Booking / Buchung senden**“. თუ ენის არჩევანში შეცდით, მონიშნეთ „**change test language/Prüfungssprache ändern**“,

დაბრუნდით უკან და შეცვალეთ ენა.

რეგისტრაციის დასტურს მიიღებთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით (თუკი კოდი სწორად შეიყვანეთ).

**მნიშვნელოვანია**, რომ საიტზე დარეგისტრირების შემდეგ ჩაინიშნოთ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რათა უპრობლემოდ შეძლოთ განმეორებით სისტემაში შესვლა. რაც მთავარია, მომხმარებლის სახელი და პაროლი თან უნდა იქონიოთ გამოცდისას. სხვა შემთხვევაში, მოგიწევთ ახალი კოდის შეძენა, თუკი იქნება გასაცემად დარჩენილი (?).

თუკი შეამჩნევთ, რომ TAN-კოდის შეყვანის შემდეგ არაფერი იცვლება და კოდი არ მუშაობს, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ DAAD-ის თბილისის რეგიონულ ოფისს ([chelidze@daad-georgia.org](mailto:chelidze@daad-georgia.org)).

**გთხოვთ, დროულად გამოცხადდეთ ტესტზე**  
**DAAD-ის თბილისის რეგიონულ ოფისში!**

**მისამართი: თ. ჭოველიძის ქ. 4**

(სასტუმრო „Rooms“-ის უკან, ბიზნესცენტრი „Inoffice“, მე-6 სართული)

**გისურვებთ წარმატებას!**